გადაწყვეტილება

N გ-22-19/52
17/02/2022

52-გ-22-1-4-202202171633

**„შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის
დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით რადიოსარელეო სიხშირეებით
სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ” კომისიის 2018 წლის 25 ოქტომბრის № 606/7
გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა (რეგისტრირებული საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ 1996 წლის 28 აგვისტოს № 5ა/4-580; ს.კ. № 211352016) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-22-7/461, 02.02.2022) და მოითხოვა კომისიის 2018 წლის 25 ოქტომბრის № 606/7 გადაწყვეტილებებით მინიჭებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F1896 უფლების გაუქმება.

კომისია აღნიშნავს, რომ 2018 წლის 25 ოქტომბრის №606/7 გადაწყვეტილებით შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს მიენიჭა რადიოსარელეო სიხშირეები შემდეგი ტექნიკური პარამეტრებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1378მჰც ± 13 მჰც; მიმართულება: ქ. თბილისის ტერიტორიიდან მთაწმინდის სატელევიზიო ანძამდე; სიხშირული ზოლის სიგანე 26 მჰც; გასხივების სიმძლავრე 0,5 ვატი; მობილური ჩართვების განსახორციელებლად, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;;

ბ) რადიოსიხშირული სპექტრი: 1438მჰც ± 13 მჰც; მიმართულება: ქ. თბილისის ტერიტორიიდან მთაწმინდის სატელევიზიო ანძამდე; სიხშირული ზოლის სიგანე 26 მჰც; გასხივების სიმძლავრე 0,5 ვატი; მობილური ჩართვების განსახორციელებლად, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;;

გ) რადიოსიხშირული სპექტრი: 1505მჰც ± 13 მჰც; მიმართულება: ქ. თბილისის ტერიტორიიდან მთაწმინდის სატელევიზიო ანძამდე; სიხშირული ზოლის სიგანე 26 მჰც; გასხივების სიმძლავრე 0,5 ვატი; მობილური ჩართვების განსახორციელებლად, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის

მარეგულირებელი წესების“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა

1.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2“-სთვის დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით რადიოსარელეო სიხშირეებით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ“ კომისიის 2018 წლის 25 ოქტომბრის №606/7 გადაწყვეტილება და გაუქმდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F1896 უფლება;

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე მიღებისთანავე;

4. დაევალოს აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი) ინფორმაციის კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი